



# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

<p>1931 წლის სექტემბრის 15.</p>	<p><b>№ 17</b> განყოფილება პირველი</p>	<p>ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.</p>
-------------------------------------	--	--

შ ი ნ ა რ ს ი:

## დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- მუხ. 197. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ოლქების საბიუჯეტო უფ-  
ლებათა დებულების დამტკიცების შესახებ.
- „ 198. ამიერკავკასიის სარკინიგზო სახაზო სასამართლოს დებულების დამტკიცების შესახებ.
199. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.
200. ა/კსფსრ გზატკეცილებინა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ  
სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა  
და მათი დარღვევის გამო ადმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების უფლების  
მინიჭების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კო-  
მიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენი-  
ლების მე-4 და 6 მუხლების დამატების შესახებ.
- „ 201. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში  
შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების, როგორც  
დამოუკიდებელი უწყებების, და მათი ადგილობრივი ორგანოების გაუქმებისა და მათი  
ფუნქციების საგვემო კომისიებისათვის გადაცემის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკა-  
სიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს 1930 წ. მარტის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

## დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

- „ 202. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში წერაკითხვის უცოდინარობის ლი-  
კვიდაციისათვის წარმოებული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

### დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოთხი.

- მუხ. 203. ა/კსფსრ-ში სასოფლო საბჭოების დათვალეირების თვიურის ჩატარების საქმის მსვლელობის შესახებ.
- „ 204. 1931 წ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადაზიდვებისათვის სარკინისგზო და ავტო-ტრანსპორტის ტრანსპორტის განმზადების შესახებ.
- „ 205. განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ წლიური ბალანსების გამოქვეყნების წესის შესახებ.
- „ 206. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოთხან ამიერკავკასიის გამომგონებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ.
- „ 207. საკონტრაქტაციო ვალდებულებების დამარღვევ და არშემსრულებელ ბამბის მთესველთათვის გადასახდელთა შეფარდებისა და საკონტრაქტაციო ვალდებულებების ვადამდე შემსრულებელ და გადამეტებით შემსრულებელ ბამბის მთესველთა დაპრემირების შესახებ.
- „ 208. შინამრეწველობისა და შინასარეწო კოოპერაციის შესახებ.

### დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოთხი.

#### 197. ა/კსფსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ოლქების საბიუჯეტო უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს დებულება ა/კსფსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ოლქების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შვიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული დებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორანჯელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მრგ. აღმ. ა. გიორგაძე.

1931 წ. სექტემბრის 12.  
ტფილისი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ა/კსფსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების და ოლქების  
სიბიუჯეტო უფლებათა შესახებ.**

I. თვითელი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის—აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანისა და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური ოლქის სამხრეთ-ოსეთისა და მთის ყარაბაღის—ტერიტორიაზე მოქმედობს უწყებული ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რესპუბლიკანური ბიუჯეტი ან უწყებული ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური ოლქის საოლქო ბიუჯეტი და აგრეთვე ამ რესპუბლიკებსა და ოლქებში შემავალ საადმინისტრაციო-ტერიტორიალური ერთეულების ბიუჯეტები.

II. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების რესპუბლიკანური ბიუჯეტები და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური ოლქების საოლქო ბიუჯეტები თავიანთი მოცულობის მხრით ექვემდებარება ამა დებულებით გათვალისწინებულ წესებს, ხოლო ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ოლქების შედგენილობაში შემავალი საადმინისტრაციო-ტერიტორიალური ერთეულების ბიუჯეტები—სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ადგილობრივი ფინანსების დებულებებსა და სათანადო კანონებს.

III. აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების რესპუბლიკანურ და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური ოლქების საოლქო ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში შეიტანება:

ა. მათ ტერიტორიაზე განსაზღვრადობული მეურნეობის მიერ რესპუბლიკანური და საოლქო მნიშვნელობის მქონე საწარმოთაგან და ქონებიდან მიღებული შემდეგი შემოსავალი:

1. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ საგვგამე სამრეწველო საწარმოთა მოგების ანარიცხი—100%-ის რაოდენობით;

2. სხვა უწყებების სამრეწველო საწარმოთა მოგების ანარიცხი—100%-ის რაოდენობით;

3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მოგების ანარიცხი—100%-ის რაოდენობით;


4. სახელმწიფო საადგილმამულო ქონების სარგებლობისათვის მისაღები საიჯარო ქირის 50%-ი;

5. თევზის სარეწაოებისა და მხეცთა ხოცვის სანახების სარგებლობისათვის მისაღები სარჯარო ქირის 50%-ი;

6. საეაქრო საწარმოთა მოგების ანარიცხი—100%-ის რაოდენობით;

7. ტრანსპორტის საწარმოთა მოგების ანარიცხი—100%-ის რაოდენობით;

8. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა აქციების დივიდენდის 100%-ი;





9. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა უფარვისი და არასაკირო ქონების გაყიდვით მისაღები შემოსავლის 100%-ი;

10. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების მიერ დადებული ჯარიმის გადახდევინებით მისაღები შემოსავალი 100%-ი;

11. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით მისაღები შემოსავლის 100%-ი;

12. ბრუნვის გადასახადის ანარიცხი არსებული წესისამებრ განსაზღვრული რაოდენობით;

ბ. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე არაგანსაზოგადოებელი ქონების შემდეგი შემოსავალი:

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახელმწიფო საადგილმამულო ქონების სარგებლობისთვის მისაღები საიჯარო ქირის 100%-ი;

2. ავტონომიური სსრ რესპუბლიკებისა და ოლქების მიერ გაცემული კონცესიების შემოსავლის 100%-ი;

3. ავტონომიური სსრ რესპუბლიკებისა და ოლქების ორგანოების დადგენილებით კონფისკებული კაპიტალებისა და კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების რეალიზაციით მისაღები შემოსავლის 100%-ი;

4. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების მიერ დადებული ჯარიმების გადახდით მიღებული შემოსავლის 100%-ი;

გ. განსაზოგადოებელი და არაგანსაზოგადოებელი მეურნეობის ზემოაღნიშნული შემოსავლის გარდა რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტში ჩაირიცხება აგრეთვე შემდეგი შემოსავალი:

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მიერ აღებული სესხი;

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტებში წეტანილი კრედიტებიდან გაცემული სესხის დაბრუნებით მიღებული შემოსავალი და იმ ხარჯების დაბრუნებით, რაც გაწეულია კრედიტებიდან;

3. საერთო-სახელმწიფო სახსარიდან გადადებული მიზნობრივი დოტაციები;

4. რესპუბლიკანური და საოლქო მრეგულირებელი ფონდების შემოსავალი.

IV. რესპუბლიკანური და საოლქო ბიუჯეტების სავსავლო ნაწილში შეიტანება:

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოთა ყრილობების საარჩევნო ხარჯები და სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საოლქო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შესანახი ხარჯები; აგრეთვე იმ ორგანოებისა და დაწესებულებების ხარჯები, რომლებიც განაგებენ:

ა) საადმინისტრაციო საქმეებს (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს გარდა);

ბ) საადგილმამულო საქმეებს;

გ) ჯანმრთელობის საქმეს;

დ) სოციალური უზრუნველყოფის საქმეს;

ე) სასამართლო, სავაგომოძიებლო და საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებისა და მომკმედი კანონმდებლობის თანახმად მოწყობილი სხვა ორგანოებისა, გარდა იმ, ამა მუხლში აღნიშნული, ორგანოებისა, რომელნიც ადგილო-



9. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა უფარვის და არასაკირო ქონების გაყიდვით მისაღები შემოსავლის 100%-ი;

10. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების მიერ დადებული ჯარიმის გადახდევინებით მისაღები შემოსავალი 100%-ი;

11. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით მისაღები შემოსავლის 100%-ი;

12. ბრუნვის გადასახადის ანარიცხი არსებულ წესისამებრ განსაზღვრული რაოდენობით;

ბ. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე არაგანსაზოგადოებელი ქონების შემდეგი შემოსავალი:

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახელმწიფო საადგილმამულო ქონების სარგებლობისთვის მისაღები საიჯარო ღირის 100%-ი;

2. ავტონომიური სსრ რესპუბლიკებისა და ოლქების მიერ გაცემული კონცესიების შემოსავლის 100%-ი;

3. ავტონომიური სსრ რესპუბლიკებისა და ოლქების ორგანოების დადგენილებით კონფისკებული კაპიტალებისა და კონფისკებული, ბეთალმანი და უპატრონო ქონების რეალიზაციით მისაღები შემოსავლის 100%-ი;

4. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების მიერ დადებული ჯარიმების გადახდით მიღებული შემოსავლის 100%-ი;

ბ. განსაზოგადოებელი და არაგანსაზოგადოებელი მეურნეობის ზემოაღნიშნული შემოსავლის გარდა რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტში ჩაირიცხება აგრეთვე შემდეგი შემოსავალი:

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მიერ აღებული სესხი;

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტებში შეტანილი კრედიტებიდან გაცემული სესხის დაბრუნებით მიღებული შემოსავალი და იმ ხარჯების დაბრუნებით, რაც გაწეულია კრედიტებიდან;

3. საერთო-სახელმწიფო სახსარიდან გადადებული მიზნობრივი დოტაცია;

4. რესპუბლიკანური და საოლქო მრეგულირებელი ფონდების შემოსავალი.

IV. რესპუბლიკანური და საოლქო ბიუჯეტების საგასავლო ნაწილში შეიტანება:

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოთა ყრილობების საარჩევნო ხარჯები და სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საოლქო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შესანახი ხარჯები; აგრეთვე იმ ორგანოებისა და დაწესებულებების ხარჯები, რომლებიც განაგებენ:

ა) საადმინისტრაციო საქმეებს (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს გარდა);

ბ) საადგილმამულო საქმეებს;

გ) ჯანმრთელობის საქმეს;

დ) სოციალური უზრუნველყოფის საქმეს;

ე) სასამართლო, საგამომძიებლო და საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებისა და მომქმედი კანონმდებლობის თანახმად მოწყობილი სხვა ორგანოებისა, გარდა იმ, ამა მულში აღნიშნული, ორგანოებისა, რომელნიც ადგილო-

ბრივი ფინანსების დებულების თანახმად, მიწერილ იქნებიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საადმინისტრაციო-ტერიტორიალური ერთეულების ბიუჯეტებზე.

2. რესპუბლიკანური და საოლქო მნიშვნელობის მქონე სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად საჭირო ხარჯები, სახელდობრ: მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, ვაჭრობისა და კომუნალური, საბინაო, საჯაო და საკურორტო მშენებლობის დასაფინანსებლად და აგრეთვე სხვა ხარჯები, რაც საჭიროა დადგენილი წესისამებრ რესპუბლიკანურ და საოლქო მნიშვნელობისად ცნობილ მეურნეობისა და ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

3. აღებული სესხის პროცენტებისა და ვალის დასაფარავად საჭირო ხარჯები.

4. რესპუბლიკანური და საოლქო მრეგულირებელი ფონდებიდან საადმინისტრაციო-ტერიტორიალური ერთეულებისათვის მისაცემი დახმარება.

V. იმ საადმინისტრაციო-ტერიტორიალური ერთეულების ბიუჯეტების რეგულირებას, რომელნიც შეესაბამებიან ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა თუ ოლქის ტერიტორიის ძირითად დაყოფას, აწარმოებს ამ ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მისი რესპუბლიკანური თუ საოლქო ბიუჯეტის მეშვეობით, რისთვისაც საგასაღო ნაწილში შეტანილი უნდა იქნეს, მრეგულირებელი ფონდების სახით, როგორც იმ შემოსავლის ნაწილი, რაც, ამა დებულების მე-III კარის თანახმად, გადაიციემა რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტში, ისე იმ შემოსავლის ნაწილი, რაც გადაეციემა საადმინისტრაციო-ტერიტორიალურ ერთეულებს ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად.

VI. ამა დებულების მე-V კარის თანახმად რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტში შეტანილ მრეგულირებულ ფონდს საადმინისტრაციო-ტერიტორიალურ ერთეულთა შორის გაანაწილებს ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის ცენტრალური ან საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი ადგილობრივი ფინანსების დებულების შესაბამისად.

VII. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების რესპუბლიკანური ბიუჯეტები და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური ოლქების საოლქო ბიუჯეტები, აგრეთვე ამ რესპუბლიკებისა და ოლქების შედგენილობაში შემავალი საადმინისტრაციო-ტერიტორიალური ერთეულების ბიუჯეტები დამტკიცდება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთიანი აქტით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

VIII. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ოლქების რესპუბლიკანური და საოლქო ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულებისა, აგრეთვე ანგარიშგებისა და ანგარიშწარმოების წესი განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით ადგილობრივი ფინანსების დებულების საფუძველზე.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 198. ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს დებულებების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს დებულება ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ხუთი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან:

ა) დაავალონ აღნიშნული რესპუბლიკების სარკინისგზო სახაზო სასამართლოებს გადასცენ ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს განსახილველად ყველა წარმოება-დაუმთავრებელი სისხლის საქმე საზოგადოებრივ-საშინაო ქმედობათა შესახებ, რაც გათვალისწინებულია „სარკინისგზო სახაზო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 27-ს დადგენილების მე-3 მუხლით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 57 №-ი, მუხ. 601);

ბ) იხმარონ ღონისძიება ტრანსპორტის მომუშავეთაგან სახალხო მსაჯულთა სიების შედგენისათვის ამიერკავკასიის სარკინისგზო სასამართლოს დებულების მე-4 მუხლის წესისამებრ;

გ) საქმეების გადაცემისათანავე („ა“ პუნ.) მოახდინონ რესპუბლიკანური სარკინისგზო სასამართლოების ლიკვიდაცია;

დ) შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმსრ. ა. გიორგაძე.

1931 წ. სექტემბრის 12.

ტფილისი.



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს შესახებ.**

1. ა/კსფსრ-ის ტერიტორიის ფარგლებში ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულთა შესახები საქმეების განსახილველად ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოსთან მოეწყობა ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლო, რომელიც იმყოფებ ქ. ტფილისში.

2. ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს შედგენილობაში შედიან:

ა) თავმჯდომარე და მისი სამი მოადგილე, რომელნიც გამოიყოფიან ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს შედგენილობიდან;

ბ) სახალხო მსაჯულნი—სპეციალური სიების მიხედვით, რაც შედგენილ და დამტკიცებულ უნდა იქნეს ამა დებულების მე-4 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

3. სამსჯავრო სხდომაზე ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლო მოქმედობს მუდმივი მოსამართლის—სასამართლოს თავმჯდომარისა ან მისი მოადგილისა—და ორი მორიგი სახალხო მსაჯულის შედგენილობით; სახალხო მსაჯულნი მიიწვევიან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის სიის მიხედვით, რომლის ტერიტორიაზედაც საქმე ირჩევა.

4. სახალხო მსაჯულთა სიაში შეიტანებიან: იმ პირობების შესაფერი მომუშავენი ტრანსპორტისა, რაც განსაზღვრულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით საერთო სასამართლო დაწესებულებების სახალხო მსაჯულთათვის.

სარკინისგზო სახაზო სასამართლოს სახალხო მსაჯულობისათვის კანდიდატები აირჩევიან მშრომელთა სათანადო ჯგუფების საერთო კრებაზე ისეთი რიცხვით, რაც დაწესებულ იქნება სარკინისგზო ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის განაწილებით.

სარკინისგზო სახაზო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიები შედგენილ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში სპეციალური კომისიის მიერ შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი კომიტეტის არჩევით, სათანადო რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი, სახელმწიფო პროკურატურის წარმომადგენელი და სარკინისგზო ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის სათანადო ორგანიზაციის 2 წარმომადგენელი; სიებს დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

სარკინისგზო სახაზო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სია თვითეულ რესპუბლიკაში უნდა შეიცავდეს არა ნაკლებ 30 კაცისა იმ კანდიდატთაგან, რომელნიც არჩეულ იქნებიან ამა მუხლის წესისამებრ სარკინისგზო ტრანსპორტის

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე; ამასთანავე, ამ სიაში მსაჯულთა რიცხვის 85%-ს მაინც უნდა შეადგენდნენ მუშები.

5. ამიერკავკასიის სარკინისგზო სასამართლოს ექვემდებარება შემდეგი საქმეები:

ა) ტრანსპორტის მომუშავეთა მიერ ბოროტულად შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ;

ბ) მოძრაობის წესების დარღვევისა და შეუსრულებლობის შესახებ, რამაც გამოიწვია მოძრავი შედგენილობისა, გზისა და საგზაო ნაგებობათა დაზიანება თუ განადგურება ან ადამიანთა უბედური შემთხვევა;

გ) მოძრაობის წესების დარღვევისა და შეუსრულებლობის შესახებ, რაც, თუნდაც „ბ“ პუნქტში აღნიშნული შედეგი არ მოჰყოლოდეს, მაინც უშუალო საფრთხეს წარმოადგენს მოძრაობის წესიერებისა და უშიშროებისათვის;

დ) ისეთ დანაშაულთა შესახებ, რამაც გამოიწვია გადმოტვირთვის ადგილებზე ცარიელი სატვირთავების დაგროვება და აგრეთვე ვაგონების მოცდენა და პარკში ზედმეტი ვაგონების გაჩერება;

ე) ორთქლმავლებისა, ვაგონებისა, ცისტერნებისა და სხვა სატრანსპორტო გაწყობილობის უხეირო რემონტისა და უხეიროდ შეკეთებული ორთქლმავლებისა, ვაგონებისა, ცისტერნებისა და სხვა სატრანსპორტო გაწყობილობის საქსპლოტაციოდ გამოშვების შესახებ;

ვ) ტრანსპორტზე ჩადენილ სხვა დანაშაულთა შესახებ, რაც არღვევს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას;

ზ) ყველა კონტრრევოლუციონური დანაშაულის შესახებ, რაც დაკავშირებულია სარკინისგზო ტრანსპორტის მუშაობასთან.

განხილვის დროს აღნიშნულ საქმეებს სარკინისგზო სახაზო სასამართლო შეუფარდებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებს, რომლის ტერიტორიაზედაც ჩადენილია დანაშაული.

**შენიშვნა 1.** ამა მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა შესახები საქმეები ექვემდებარება სარკინისგზო სახაზო სასამართლოს იმისდამოუხედავად, ჩადენილია დანაშაული სარკინისგზო ტრანსპორტის მომუშავისა თუ სხვა მოქალაქის მიერ.

**შენიშვნა 2.** უკეთეს ამა მუხლში აღნიშნული საქმე მეურნეობრივად ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურად უმნიშვნელოა, მას განიხილავს საერთო სასამართლო დაწესებულება.

6. სარკინისგზო სახაზო სასამართლოს ქვემდებარე დანაშაულთა საქმეებს გამოიძიებენ სპეციალური გამოძიებლები.

7. სარკინისგზო სახაზო სასამართლო საქმეთა წარმოების დროს იხელმძღვანელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დანაშაულის ჩადენის ადგილის ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით, ამა დებულებით დადგენილ გამოწვევებისათვის გარდა.

8. არა უგვიანეს ხუთი დღისა გამოძიების დამთავრებისას ყოველი საქმე მოსმენილ უნდა იქნეს სარკინისგზო სახაზო სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე.

**შენიშვნა.** განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც გაძნელებულია საკირო ცნობების მიღება, მოწმეების დაბარება დაშორებული ადგილებიდან და სხვა მისთ., ზემოაღნიშნული ვადა შეიძლება განგრძობილ იქნეს, ხოლო არა უხანგრძლივეს ხუთი დღისა.

9. სარკინიგზო სახაზო სასამართლოს სამსჯავრო სხდომა უნდა მოწყობილ იქნეს რაც შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილის სიახლოვეს: სარკინიგზო სახელოსნოში, დეპოში, მუშათა კლუბში და სხვა მისთ., სხდომაზე მუშათა ფართო საზოგადოებრიობის მიზიდვით. სამსჯავრო სხდომაზე, სახელმწიფო ბრალმდებელთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებრივმა ბრალმდებლებმა ტრანსპორტის მომუშავეთაგან.

**შენიშვნა.** ზემოაღნიშნული მიზნით სარკინიგზო სახაზო სასამართლო განიხილავს საქმეებს როგორც თავის მუდმივ სამყოფელ ადგილას, ისე გამსვლელ სესიებში.

10. სარკინიგზო სახაზო სასამართლომ ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულის საქმის განხილვის დროს უნდა გამოარკვიოს არა მარტო დანაშაულის უშუალო ჩამდენი, არამედ აგრეთვე დაბეჯითებით უნდა გამოაშკაროს ტრანსპორტის განსაზღვრულ უბანში საქმის საერთო დაყენებისათვის პასუხისმგებელი პირნი, რათა მათ შეეფარდოს მკაცრი რეპრესისა.

11. ამიერკავკასიის სარკინიგზო სახაზო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელით.

12. ამიერკავკასიის სარკინიგზო სახაზო სასამართლოს განაჩენი შეიძლება განსაჩივრებულ თუ განპროტესტებულ იქნეს სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სატრანსპორტო საქმეთა კოლეგიაში.

საჩივარი და პროტესტი შეიტანება, არა უგვიანეს 72 საათისა განაჩენის გამოცხადების მომენტიდან, ამიერკავკასიის სარკინიგზო სახაზო სასამართლოში, რომელიც დაუყოვნებლივ წარმართავს საქმეს საჩივრითურთ (პროტესტიურთ) სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სატრანსპორტო საქმეთა კოლეგიაში.

სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სატრანსპორტო საქმეთა კოლეგიის დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

13. ამიერკავკასიის სარკინიგზო სახაზო სასამართლოს მის ქვემდებარე საქმეებზე ხელმძღვანელობას და საკასაციო-სარევიზიო ზედამხედველობას უწევს სსრკ-ის უზენაესი სასამართლო (სატრანსპორტო საქმეთა კოლეგია).

ამიერკავკასიის სარკინიგზო სახაზო სასამართლოს ორგანიზაციისა და მმართველობის სფეროში ხელმძღვანელობას ანხორციელებს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო.

14. ამიერკავკასიის სარკინიგზო სახაზო სასამართლოს აქვს ბეჭედი ა/კსფსრ ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 199. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოთდევნი დებულება ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდიენის მოვალ. აღმს. ა. გიორგაძე.

1931 წ. სექტემბრის 12.  
ტფილისი.

## დ ე ბ უ ლ ე მ ბ ა

### ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის შესახებ.

#### 1. აპარატის სტრუქტურა.

1. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურა იმყოფება ა/კსფსრ პროკურატურასთან.

2. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის შედგენილობაში შედიან:

ა) ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორი, რომელსაც გამოჰყოფს ა/კსფსრ პროკურორი თავის უფროს თანაშემწეთაგან;

ბ) მისი სამი თანაშემწე, რომელთაც გამოჰყოფენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორები და დაამტკიცებს ა/კსფსრ პროკურორი;

გ) სატრანსპორტო საქმეთა გამოძიებელნი: ორი გამოძიებელი უდიდეს საქმეთათვის, რომელნიც იმყოფებიან ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორთან და რომელთაც ამტკიცებს თანამდებობაზე ა/კსტს პროკურორი, ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის წარდგენით; სატრანსპორტო საქმეთა გამოძიებელნი, შტატებში განსაზღვრული რიცხვით, რომელთაც გამოჰყოფენ ა/კსტს. შედგენილობაში შემაჯავლი რესპუბლიკების პროკურორები.

3. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურას ხელმძღვანელობას უწევს უშუალოდ სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს პროკურატურა.

4. მეთვალყურეობა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის მოქმედებისათვის მისი ფუნქციების შესრულების სფეროში, კერძოდ—ცენტრის სახელმძღვანელო დირექტივებისა, ეკუთვნის ა/კსტს პროკურორს.

5. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწენი ორგანიზაციულად დაკავშირებულნი არიან ა/კსტს შედგენილობაში შემაჯავლი რესპუბლიკების სათანადო პროკურატურასთან; ამასთანავე, აღნიშნული რესპუბლიკების პროკურორები თვალყურს ადევნებენ ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწეების მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულებას, კერძოდ—ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის სახელმძღვანელო დირექტივებისა და წინადადებების შესრულებას.

6. რესპუბლიკების პროკურორებმა მათ მიერ სატრანსპორტო საქმეთათვის გამოყოფილი ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწენი უნდა გააინთავსებდნენ ყველა სხვა მუშაობისაგან.

7. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის ხარჯთაღრიცხვებისა და შტატების პროექტებს, სათანადო წესისამებრ შემდგომი წარმართვისათვის, დაამტკიცებს ა/კსტს პროკურორი.

## II. ა/კსტს სატრანსპორტო პროკურატურის ფუნქციები.

8. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურას დაეკისრება:

ა) განახორციელოს ზედამხედველობა როგორც სარკინისგზო ტრანსპორტის დაწესებულებათა და საწარმოთა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისა, ისე სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მოქმედების კანონიერებისათვის—იმ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც საფრთხეს წარმოადგენს ტრანსპორტის ნორმალური მუშაობისათვის;

ბ) ზედამხედველობა გაუწიოს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების მოქმედებას იმ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, რაც სარკინისგზო სახაზო სასამართლოს ექვემდებარება;

გ) შეათანხმოს ყველა იმ ორგანოს მოქმედება, რომელიც ბრძოლას აწარმოებს დანაშაულობასთან ტრანსპორტზე; აგრეთვე მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს პროკურატურის ხელისშემწყობ უჯრედებს, რომელნიც დაარსებულ უნდა იქნენ რკინისგზების ამა თუ იმ დაწესებულებასთან და საწარმოსთან მშრომელთა აქტივისაგან;

დ) განაპროტესტოს სათანადო წესისამებრ სსრკ-ის უზენაეს სასამართლოს სატრანსპორტო კოლეგიაში სარკინისგზო სასამართლოს განაჩენები და დადგენილებები;

ე) აღძრას სისხლის სამართლის წესით დევნა თანამდებობისა და კერძო პირთა წინააღმდეგ სარკინისგზო სახაზო სასამართლოს ქვემდებარე საქმეების გამო; თვალყური ადევნოს ამ საქმეთა გამოძიებას; წარმართოს ეს საქმეები სათანადო მხრით და განახორციელოს საპროკურორო ფუნქციები სარკინისგზო სახაზო სასამართლოს სამსჯავრო და საგანმწესრიგებლო სხდომებზე.

9. სარკინისგზო სახაზო სასამართლოს ქვემდებარე საქმეების გამოძიება სწარმოებს უაღრესად სასწრაფო წესით და დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს, ვიდრე ერთი დეკადის ვადაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება განგრძობილ იქნეს, ხოლო არა უხანგრძლივეს 5 დღისა.

### III. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორისა და მისი თანაშემწეების უფლება-მოვალეობანი.

19. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის კომპეტენციაში შედის:

ა) მოიწვიოს მუდმივი თათბირები დანაშაულობასთან ბრძოლისათვის და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ თათბირებს;

ბ) გასცეს თავისი გამგებლობის საგნების გამო (მუხ. 8) სახელმძღვანელო დირექტივები, ბრძანებები, ცირკულიარები და განკარგულებები სატრანსპორტო პროკურატურისა და საგანმომძიებლო ორგანოების ხაზით;

გ) მონაწილეობა მიიღოს სათათბირო ხმის უფლებით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემოწმებელი კომისიისა, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებისა და სხვა ცენტრალური ორგანოების სხდომებსა და თათბირებში სარკინისგზო ტრანსპორტის საკითხების გამო;

დ) უშუალო ურთიერთი მიმართვა იქონიოს თავისი კომპეტენციის საკითხების გამო ა/კსფსრ ყველა ცენტრალურ დაწესებულებასთან, ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან და სახალხო კომისართა საბჭოებთან და აგრეთვე აღნიშნული რესპუბლიკების პროკურორებთან;

ე) დაამუშაოს დისპექტჩერული ჯუშმები და შეიმუშაოს საამისო ღონისძიებანი;

ვ) შეადგინოს სატრანსპორტო პროკურატურის მუშაობის ყოველთვიური და წლიური ანგარიშები (ჯუშმები);

ზ) მოიწვიოს ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწეთა პერიოდული თათბირები და მოისმინოს მათი მოხსენებები;

თ) უშუალო მეთვალყურეობა გაუწიოს ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორთან მყოფ, უდიდეს საქმეთა გამოძიებლებისა და გაერთიანებული



სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების ცენტრალური ორგანოების მიერ სარკინისგზო საქმეთა გამოძიებას;

ბ) მოითხოვოს ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს განაჩენებისა და დადგენილებების ასლები და აგრეთვე ამ სასამართლოს დედანი საქმეები, რომლებზედაც გამოტანილი განაჩენები კანონიერ ძალაშია შესული;

გ) შეაჩეროს სარკინისგზო სახაზო სასამართლოს განაჩენები საქმეების ზედამხედველობის წესით გასინჯვამდე;

დ) წარმართოს, ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს დებულების მე-2 მუხლის მე-5 შენიშვნის წესისამებრ, ამ სასამართლოს ქვემდებარე საქმეები, რომელთაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვთ, სათანადო სახალხო სასამართლოების მიერ განსახილველად ან სადისციპლინო წესით საწარმოებლად; აგრეთვე ჩამოართვას ა/კსუსრ შედგენილობაში შემაჯავლი რესპუბლიკების სახალხო სასამართლოებს ყოველი ისეთი საქმე, რაც სარკინისგზო სახაზო სასამართლოს ექვემდებარება, და გადასცეს იგი განსახილველად ამ სასამართლოს.

11. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორი უშუალოდ მიმართავს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სატრანსპორტო საქმეთა პროკურორს წარდგინებით თავისი კომპეტენციის საკითხების გამო.

12. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწენი ადგილებზე ასრულებენ ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის ყველა დირექტივას, ცირკულიარს, განკარგულებას და სხვა მისთ. და ანხორციელებენ, ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის საერთო ხელმძღვანელობით, ამა დებულების მე-8 მუხ. „ა“ „ბ“ და „ე“ პუნქტებში და მე-10 მუხ. „ი“ პუნ. აღნიშნულ ფუნქციებს და აგრეთვე აპროტესტებენ საკასაციო წესით ამიერკავკასიის სარკინისგზო სასამართლოს განაჩენებს.

13. სასამართლო ზედამხედველობისა და საგამომძიებლო ორგანოებისათვის ზედამხედველობის გაწევის სფეროში ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწენი უშუალო მეთვალყურეობას უწევენ თავიანთ ქვემდებარე გამოძიებლებისა და სხვა ადგილობრივი საგამომძიებლო ორგანოების მიერ გამოძიების წარმოებას, წარმართავენ მათთვის საგამომძიებლო ორგანოების მიერ გადაცემულ საქმეებს, ანხორციელებენ საპროკურორო ფუნქციებს სარკინისგზო სახაზო სასამართლოს სესიების სამსჯავრო და საგანმწესრიგებლო სხდომებზე და თვალყურს ადევნებენ მოქმედი კანონმდებლობის სისწორით შეფარდებას აღნიშნული სასამართლოს განაჩენებში და დადგენილებებში.

14. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწენი ადგილებზე თავიანთი კომპეტენციის საკითხების გამო მიმართავენ ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორს, რომელსაც აგრეთვე წარუდგენენ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს იმ ჯიდაზე და იმ ფორმით, რასაც დააწესებს ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორი ცენტრის დირექტივების თანახმად.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

200. „ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევის გამო აღმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების მე-4 და 6 მუხლების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. „ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევის გამო აღმინისტრაციული გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების მე-4 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 113 და 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 15) დამატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის წესების დარღვევისათვის (1-ლი მუხ. „ა“ პუნ.) ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებებით და ინსტრუქციებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების თანახმად“.

2. იმავე დადგენილების მე-6 მუხლს დამატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. როდესაც ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებასა და ინსტრუქციაში (1-ლი მუხ. „ა“ პუნ.) განსაზღვრულია პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით, აქტი დარღვევის თაობაზე უნდა ეცნობოს ქვემდებარეობისამებრ სათანადო სასამართლო ორგანოს“.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე მ. ოჩახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. აღმს. ა. გიორგაძე

1931 წ. სექტემბრის 12.

ტფილისი

**დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**201.** „ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების, როგორც დამოუკიდებელი უწყებების, და მათი ადგილობრივი ორგანოების გაუქმებისა და მათი ფუნქციების საგეგმო კომისიებისათვის გადაცემის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების, როგორც დამოუკიდებელი უწყებების, და მათი ადგილობრივი ორგანოების გაუქმებისა და მათი ფუნქციების საგეგმო კომისიებისათვის გადაცემის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 84) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 2. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აპარატი და ფუნქციები გადაეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას და სააღმსრულებლო-სასტატისტიკო სამუშაოთა ორგანიზაციას ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ანხორციელებს სახალხო-სამეურნეო აღმსრულებელ სექტორის მეშვეობით, რომელიც მოქმედობს დამოუკიდებელი სამმართველოს უფლებებით, სპეციალურ კანონში დადგენილ წესისამებრ“.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმ. ა. გიორგაძე.

1931 წ. სექტემბრის 12.

ტფილისი



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**202.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის წარმოებულ მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

მოსმინა-რა აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატებისა და წერკუმსის წარმომადგენლების მოხსენებანი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის წარმოებულ მუშაობის მდგომარეობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს:

პარტიის მე-XVI ყრილობის გადაწყვეტილებით წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია გამოცხადებულ იქნა „პარტიის საბრძოლო ამოცანად“. როგორც სოციალისტური მშენებლობის სხვა სფეროში, ისე კულტურული რევოლუციის ამ სფეროშიაც კლასობრივმა მტერმა გააჩაღა გამძვინვარებული ბრძოლა; ამ ბრძოლამ მიიღო მეტის-მეტად მწვავე ხასიათი ა/კსფსრ ჩამორჩენილ რაიონებში, განსაკუთრებით სოფლად: აზერბაიჯანის ზოგიერთ სოფელში კულაკობა სდგენიდა მასწავლებლებს, ხოლო ზოგიერთ ადგილას ისინი კიდევ დახოცეს; კულაკობა ამხედრდა ახალი თურქული აღფაბეტის წინააღმდეგ, ქალების სწავლების წინააღმდეგ, სკოლის პოლიტენჩინაციის წინააღმდეგ, და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კომიტეტების მუშაობის ჩაშლას.

ასეთი მძიმე ვითარების მიუხედავად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 1930-31 სასწავლო წლის გეგმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ჩატარებულია თვალსაჩინო წინსვლით წინა წლებთან შედარებით:

ა) გაფართოებულია მოსახლეობის მოცვა წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემეცოდნეობის ლიკვიდაციის სკოლების ქსელით. მაგალითად, მოცული იყო:

	1928-29 წ.	1930 წ.	1931 წ.
აზერბაიჯანის სსრ-ში . . . . .	43.000	160.000	400.000
საქართველოს სსრ-ში . . . . .	22.000	161.000	157.000
სომხეთის სსრ-ში . . . . .	32.000	68.000	87.000.

ხოლო საქართველოს სსრ-ის ზოგიერთ რაიონში—ჩოხატაურისა, ოშურგეთისა, სენაკისა, ლანჩხუთისა, ონისა და აპროლაურის რაიონებში—წერაკითხვის უცოდინარობა ლიკვიდირებულია მთლად 100%-ით;

ბ) შემოღებულია სწავლების უწყვეტი წელიწადი;

გ) გაუმჯობესდა სათანადო სასწავლო წიგნების გამოცემა, განსაკუთრებით აზერბაიჯანის სსრ-ში;

დ) წერაკითხვის უტოლდინარობის ლიკვიდაცია დაკავშირებულია სამეურნეო პოლიტიკური კამპანიების შესრულებასთან (საბჭოთა საარჩევნო-საანგარიშო კამპანიაში მონაწილეობა, სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერის ჩატარება, ბრძოლა ბამბისათვის, ნავთისათვის);

ე) მიღებულია ღონისძიება წერაკითხვის უტოლდინარობის რეციდივის აღმოსაფხვრელად (სომხეთში).

2. ზემოხსენებულ მიღწევებთან ერთად ამირკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს შემდეგ უდიდეს ნაკლოვანებებს:

ა) წერაკითხვის უტოლდინარობის ლიკვიდაცია გაშლილ არ იქნა როგორც მასსური პოლიტიკური კამპანია; თავი იჩინა წერაკითხვის უტოლდინარობის ლიკვიდაციის საქმისადმი ოპორტუნისტულმა მოპყრობამ და წერაკითხვის უტოლდინარობის ლიკვიდაციის შეუფასებლობამ როგორც სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანისა სარაიონო და ქვედა ორგანოების, კომკავშირის, პროფკავშირის, კოლპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სახალხო განათლების განყოფილებებისა, წერკუმისა და შტაბების მხრით, მათ შორის რესპუბლიკანური და სხვა ორგანიზაციების მხრით;

ბ) ადგილებზე და ცენტრში არ არსებობს მუშაობის კონტროლი და აღნუსხვა; სუსტია მეთოდური ხელმძღვანელობა; არ არსებობს ოპერატიული გეგმები; სუსტია პროფეტარული საზოგადოებრივი მასების მობილიზაცია; საკმარისი ყურადღება არ აქვთ განათლების სახალხო კომისარიატებს მიქცეული ეროვნულ უმცირესობიანი რაიონების კადრებით უზრუნველყოფისათვის;

გ) არაღამაკმაყოფილებელია რესპუბლიკანურ სახელმწიფო გამოცემლობათა მუშაობა თავის დროზე საკმარისი რაოდენობის სათანადო სასწავლო წიგნების გამოცემის საქმეში (საქართველო და სომხეთი);

დ) წერაკითხვის უტოლდინარობის ლიკვიდაციის გეგმა მიწვდევინებულ არ არის ქვედა ორგანიზაციებამდე;

ე) საკონტროლო ციფრებში არ მოიპოვება ცნობები ქალთა მოცვის შესახებ;

ვ) საკმარისად არ არის გაშლილი მუშაობის სოციალისტური მეთოდები (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი);

ზ) საკმარისი ყურადღება არ აქვს მიქცეული წერაკითხვის უტოლდინარობის სრულ ლიკვიდაციას 1931 წლის ბოლოსთვის ინდუსტრიალურ მუშათა, პროფესიონალურ კავშირების წევრთა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, მოჯამავირეთა, კომუნისტთა, კომკავშირელთა, წვევამდელთა და ცვალებადელთა, საბჭოების წევრთა და ქალ-დეღეგატთა შორის;

თ) წერაკითხვის უტოლდინარობის სალიკვიდაციოდ წარმოებულ მუშაობის თვისებისათვის ბრძოლის საკითხები რაიონის უმეტეს ნაწილში შტაბებმა, მათ შორის რესპუბლიკანურებმაც, და წერაკითხვის უტოლდინარობის ლიკვიდაციის დაწყების ორგანიზაციებმა ცენტრალურ ამოცანად ვერ გადააქციეს;

ი) კოლპერაციის თითქმის არა გაუყეებია-რა წერაკითხვის უტოლდინარობის ლიკვიდაციისთვის ნაკისრებ ვალდებულებათა სარეალიზაციოდ;

კ) სამეურნეო ორგანიზებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს; უგულვრილი მოპყრობით სადგომების მიცემის საქმისადმი ისინი ხშირად შლიდნენ ლიკპუნქტების მუშაობას;

ლ) საშეფო ორგანიზაციები სრულიად არა სჩადნენ წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში;

მ) პრესის მონაწილეობა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ლაშქრობის გარშემო პროლეტარული საზოგადოებრიობის მობილიზაციის საქმეში სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდა, გარდა ბაქოს ვახეთ „ენი-ელ“-ისა;

ნ) შეუწყნარებელია უმნიშვნელო ყურადღება სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კომიტეტების დაფინანსებისათვის მათ მიერ ნაკისრებ ვალდებულებათა შესრულებაში.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში მონაწილე ყველა ორგანიზაციას:

ა) გააძლიეროს წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ტემპები იმდენად, რომ იგი უზრუნველყოფდეს 1931 წლის გეგმის საფუძვლით შესრულებას, წვევამდელთა შორის წერაკითხვის უცოდინარობის საფუძვლით ლიკვიდაციას, ინდუსტრიალური მუშებისა, ტრანსპორტის მუშებისა, კოლმეურნეებისა, საბჭოთა წევრებისა და ქალ-დღეღვინეების საფუძვლით მოცვას წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლების ქსელით;

ბ) საბჭოთა მეურნეობები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები გადააქციოს დასაყრდნობ ბაზისად სოფლად წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში;

გ) გაშალოს მუშაობა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის პროლეტარული საზოგადოებრიობის ფართო მობილიზაციის საფუძველზე და უღმობელი ბრძოლა აწარმოოს კლასობრივ მტერთან, რომელიც ცდილობს ჩაშალოს წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე, მემარჯვენე-მოპორტუნისტულ განწყობილობასთან ამ საქმისადმი, ძველი „კულტურონსობის“ ნაშთებთან და ნაციონალური ლენინური პოლიტიკის დამახინჯებასთან;

დ) წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის წარმოებულ მუშაობა შეუთავსოს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს;

ე) მუშაობის ოპერატიული გეგმა ააგოს სარაიონო ხაზით, თვითეული რაიონის სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობისა და ნაციონალური თავისებურობის სათვალავში მიღებით; გეგმა მიწვდევინებულ უნდა იქნეს ქვედა ორგანიზაციებამდე;

ვ) სამუშაოთა გეგმაში ცალკე გამოჰყოს ამოცანა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა შორის და თურქ-ქალებსა, აპარელ-ქალებსა, ქურთ-ქალებსა, ლეკ-ქალებსა, ასურელ-ქალებსა და სხვა ქალთა შორის;

ზ) საფუძვლით და თავის დროზე უზრუნველჰყოს წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ყველა სასწავლებელი სასწავლო წიგნებით, განათლების სახალხო კომისარიატების განცხადებებისამებრ, და გამოსცეს წერაკითხვის მცირე-



მცოდნეთათვის დამხმარე ლიტერატურა; ამასთანავე, სასწავლო წიგნებსა და სასწავლო პროგრამებში შეტანილ უნდა იქნეს პოლიტეხნიზმის ელემენტები;

თ) იხმაროს სასწრაფო და გადამწყვეტი ღონისძიება წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდებისათვის მატერიალურ სახსართა სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებს შორის განაწილების შესასრულებლად;

ი) ფართოდ ვაშალოს სოცშეჯიბრება, დამკვერელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, კულტესტაფეტა და მასსური მუშაობის სხვა ფორმები და მეთოდები;

კ) რათა განხორციელებულ იქნეს პროლეტარული საზოგადოების კონტროლი წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის წარმოებული მუშაობის საქმეში, შემოიღოს პრაქტიკად ამ მუშაობის ანგარიშების ჩატარება მუშათა და კოლმეურნეობათა რაიონებში;

ლ) იხმაროს ღონისძიება, რათა პრესაში ფართოდ იქნეს გაშუქებული წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის მსვლელობა; ყოველ თვე გამოაქვეყნოს საამისო რაიონობითი ჯუმლები და გამოაქვეყნოს წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკონტროლო ციფრები თვითეული რაიონისათვის;

მ) იხმაროს ღონისძიება, რათა სარაიონო გაზეთებში წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საკითხებს დაეთმოს სპეციალური განყოფილება.

4. წინადადება მიეცეს ბაქოს საბჭოს—იხმაროს სასწრაფო და გადამწყვეტი ღონისძიება, რათა ქალ. ბაქოსა და მის რაიონებში წერაკითხვის უცოდინარობა ლიკვიდირებულ იქნეს დადგენილ ვადაზე.

5. წინადადება მიეცეს ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ განათლების სახალხო კომისარიატებსა და სხვა დაინტერესებულ უწყებებსა და დაწესებულებებს ღონისძიების ხმარება ამა დადგენილების თავის დროზე და ფაქტიურად შესრულებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. სექტემბრის 1.  
ტფილისი

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

### 203. ა/კსფსრ სასოფლო საბჭოებს დათვალეირების თვიურის ჩატარების საქმის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა სასოფლო საბჭოების დათვალეირებისათვის დაარსებული ამიერკავკასიის კომისიის მოხსენება, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკანურმა ცენტრებმა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების უმრავლესობამ სათანადოდ ვერ შეაფასეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოებულ სასოფლო საბჭოების მუშაობის მასსური დათვალეირების მთელი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა და დააყოვნეს ამ მუშაობის ფართოდ გაშლა.

ასევე ვერ შეაფასა აღნიშნული დათვალეირება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოყოფილ და რაიონებზე მიმავრებულ რწმუნებულთა უმრავლესობამ, რომელთაც დააყოვნეს ეს საქმე და რომელნიც ნაწილობრივ აქამდე არ გამგზავრებულან ადგილებზე.

უხეში შეცდომა ჩაიდინეს მთელმა რიგმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რომელნიც არ შეუდგნენ სადამთვალეირებლო მუშაობას მიმავრებულ რწმუნებულთა მისვლის მოლოდინში.

ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური ორგანიზაციების უმეტესობა აქამდე არ ჩაბმულა საბჭოების დათვალეირების საქმეში; ამ ორგანიზაციებმა, აშკარაა, ვერ შეაფასეს დათვალეირების მნიშვნელობა, როგორც მასსური პოლიტიკური კამპანიისა, არ გამოიყენეს დათვალეირება თავიანთი აპარატების გარდაქმნისათვის ისე, რომ პირი მიექციათ რაიონისა და სოფლისაკენ, და წარმატებით დაემთავრებინათ ის სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიები, რაც აქამდე სოფლად სწარმოებს.

ამიერკავკასიის გაზეთების უმრავლესობა აგრეთვე არავითარ ყურადღებას არ უთმობდა დათვალეირებას, მაშინ, როდესაც ბეჭდვითი სიტყვა მოვალე იყო დაზნაბრებოდა შეჯიბრების მოწყობის საქმეს დათვალეირების ჩატარებაში.

ასეთი მოპყრობა დათვალეირების საქმისადმი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს შეუწყნარებლად მიაჩნია და იგი მოაქცევს ა/კსფსრ ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ დათვალეირება უარესი მნიშვნელობის მასსური პოლიტიკური კამპანიაა და იგი უნდა გახდეს სოფლად მუშაობის გარდაქმნის მძლეთა-მძლე ბერკეტად და ამ მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შთამნერგავად საყოველღეო მუშაობის შეთვლების სახით.

დათვალეირება მოწოდებულია დაეხმაროს ყველა მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიის გეგმების წარმატებით ჩატარებასა და შესრულებას და თანაც მოახდინოს მასსების მობილიზაცია პარტიის გენერალური ხაზის დეკლარებთა განსახორციელებლად. კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა, რო-

მელნიც ხვალ კოლმეურენნი გახდებიან, მასსური მონაწილეობა ამ საქმეში ხელს შეუწყობს იმ კლასობრივ ჯგუფს და გაბიუროკრატებული ელემენტების მხილვას, რომელნიც ნაწილობრივ ჯერ კიდევ იმყოფებიან ა/კსფსრ სასოფლო აპარატში, და გასწმენდს ამ აპარატს მათგან.

დათვალეირება, რომელიც მოახდენს მასსების მობილიზაციას გარკვეული კლასობრივი ხაზის საფუძველზე, განგრძობაა კლასობრივი მტრის და სოფლად საბჭოთა მუშაობის ყველა რგოლულში მყოფი მისი აგენტურის წინააღმდეგ წარმოებული შეტევისა.

მხოლოდ მოსახლეობის მასსური მონაწილეობა სასოფლო საბჭოების დათვალეირებაში და შემდეგ-კი პრაქტიკული მონაწილეობა ამ საბჭოების მუშაობის გარდაქმნაში დაგვეხმარება გამოვამხაეით ყველა ის მიზეზი, რაც აბრკოლებს სექციებისა და ღარიბთა ჯგუფების მუშაობას, და ავიცილოთ ეს დაბრკოლებანი. მხოლოდ მასსების შემომქმედ ალტერას შეუძლიან უმოკლეს ხანში ამ ნაკლოვანებათა მოსპობა.

საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზება უნდა დაისაზონ თავიანთ ამოცანად ამ ალტერის შემომქმედი აქტიობის რუსხმულით წარმართვა და უნდა დარაზონ ვველა შეგნებული მშრომელი სექციებისა, ჯგუფებისა და ბრიგადების მეშვეობით საყოველღეო მუშაობისათვის—გვემების შესასრულებლად და ვადამეტებით შესასრულებლად, შინაგანი რესურსების სამობილიზაციოდ, ახალი ნებაყოფლობითი საკოლმეურნეო ნაკადის შესაქმნელად—და განამტკიცონ დათვალეირების დროს ცხადყოფილი აქტივი, როგორც რეზერვი საბჭოთა მუშაობაზე ახალი კადრების სისტემატიური დაწინაურებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გადაჭრით აღნიშნავს წარმოებული დათვალეირების პოლიტიკურ მნიშვნელობას, როგორც ისეთ გზას, რომლითაც საყოველღეო მუშაობაში სოფლად გადატანილ უნდა იქნეს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მეთოდები, რაც უკვე გამართლებულია საწარმოში, და რაც უზრუნველყოფს ყველა სამეურნეო-პოლიტიკური ღონისძიების გვემის სისტემატიურ შესრულებას და ვადამეტებით შესრულებას.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა იხზარონ ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა ასაცდენად.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ბექდვითი სიტყვის ყველა ორგანოს—დაუყოვნებლივ ვაშალოს დათვალეირების მუშაობის ფართო ვაშუქება, მოაწყოს დამთვალეირებელი ბრიგადების ადგილებზე ვასვლა და აწარმოოს სისტემატიური მუშაობა დათვალეირების საქმისათვის.

3. ყველა რაიონში სამი დღის ვადაზე ჩატარებულ იქნეს ინსტრუქტული თათბირები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დათვალეირებისათვის დანიშნული რწმუნებულებისა—დამთვალეირებელ აქტივთან ერთად; ამ თათბირებმა უნდა განიხილონ ესე დადგენილება და დაისაზონ პრაქტიკული



ლონისძიებანი სადამთვალეირებლო მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლისათვის.

4. დაწყებული სექტემბრის 12-დან, ყველა სასოფლო დამთვალეირებელმა კომისიამ, თვითეული ხუთის დღის შემდეგ, უნდა აცნობოს სარაიონო დამთვალეირებელ კომისიას, ხოლო სარაიონო დამთვალეირებელმა კომისიამ დეკადის განმავლობაში ერთხელ უნდა მოახსენოს რესპუბლიკანურ დამთვალეირებელ კომისიას დათვალეირების მსვლელობა შემდეგი სისტემით: ა) ძირითადი სამეურნეო კამპანიების მსვლელობა; ბ) რამდენი თათბირი და კრებაა ჩატარებული დათვალეირებისათვის, მონაწილეთა რიცხვი და მათი აქტიობა; გ) რამდენი და რა ბრიგადაა შექმნილი, მათი სოციალური, ნაციონალური და სქესობრივი შედგენილობა; დ) სადამთვალეირებლო მუშაობის საუკეთესო ნიმუშები.

5. მიენიშნოს ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ ორგანოებს, რომ საკიროა მათი პრაქტიკული მონაწილეობა სასოფლო საბჭოების წარმოებულ დათვალეირებაში და ამ დათვალეირების გამოყენება ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური აპარატების გარდაქმნისათვის რაიონისაკენ პირის მიქცევით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდიენის მოვალ. აღმსრ. ა. გიორგაძე.

1931 წ. სექტემბრის 12.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-ს“ 253 №-ში 1931 წ. სექტემბრის 17.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**204.** 1931 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადაზიდვებისათვის სარკინისგზო და ავტოჭაპანზიდვის ტრანსპორტის განმზადების შესახებ.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადაზიდვების წარმატებით ჩატარებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განხორციელებულ იქნეს სასწრაფო წესით შემდეგი ღონისძიებანი:

**ა. სარკინისგზო ტრანსპორტის მიმართ.**

1. მთლად სატრანსპორტო კლიენტურამ, რომელიც რკინის გზას იყენებს, ერთი დეკადის ვადაზე უნდა დასდოს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციასთან ხელშეკრულებები, რაც უზრუნველჰყოფს ურთიერთის მიმართ მატე-

რიალურ პასუხისმგებლობას თავის დროზე ვაგონების დატვირთვისა, განტვირთვის და მიყენების და სადგურებიდან ტვირთვის გატანისათვის.

**შენიშვნა.** ის სამეურნეო ორგანო, რომელიც არ წარადგენს ტვირთს დასატვირთად გემით განსაზღვრულ ვადაზე, ვაგონებით უზრუნველყოფილ იქნება მეორე რიგში.

2. „სოიუნგეთ“-მა, იმ მიზნით, რათა ცისტერნები არ მოსცდეს ჩასხმისა და გადასხმის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს განცხადებათა გაზუსტებას ჩასასხმელის სახისა და მიმართულებისა და აგრეთვე გადმოსხმის პუნქტების მიხედვით.

3. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უნდა წარუდგინოს ამიერკავკასიის რკინის გზების ღირებულების ტყიბულის ქვანახშირის გადაზიდვათა პასუხსაგები გეგმა 1931 წლის მე-IV კვარტალისათვის.

**შენიშვნა.** ამიერკავკასიის რკინის გზებმა უნდა უზრუნველყოფონ ქვანახშირის გადაზიდვები სავსებით, რისთვისაც უნდა გამოიყენონ დიდსატვირთო ვაგონები, და მაქსიმალური დატვირთვის წასახალისებლად დააწესონ ვაგონობითი სასყიდელი.

4. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ერთი თვის განმავლობაში უნდა აძლიონ თხოვებით ამიერკავკასიის რკინის გზებს ლურსმანი და სხვა მასალა სასაქონლე ვაგონების მოსაწყობად მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვისათვის.

5. ყველა ტვირთომომხარებელმა და ტვირთმიმღებმა (მათ შორის სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთმა) უნდა აწარმოოს ტვირთის დატვირთვა, გადმოტვირთვა და გამოზიდვა ბაქოს, ნავთლუღის, ტფილისის და ერივანის სადგურზე მთელი დღედაღამის განმავლობაში.

**შენიშვნა.** ამიერკავკასიის რკინისგზების ღირებულება გასცემს სათანადო განკარგულებას თავისი ხაზით.

6. ამიერკავკასიის რკინის გზების ღირებულება:

ა) მიაქცევს ყურადღებას მოძრავი შედგენილობის (ორთქლმავლებისა და ვაგონების) რემონტის სათანადო შესრულებას და ამ შედგენილობის ბრუნვის დაჩქარებას, რათა სრულიად უზრუნველყოფილ იქნეს ვაგონების მიყენება გემებში განცხადებული ტვირთით დასატვირთავად;

ბ) მოაწესრიგებს სამი დღის ვადაზე, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, საკითხს დამტვირთველთა სამუშაო ხელფასის შესახებ იმ მხრით, რომ გადიდებულ იქნეს არასავალდებულო სამუშაოთა (დატვირთვა-გადმოტვირთვა) სატარიფო განაკვეთი და შემოღებულ იქნეს ჰერსონალური პროგრესიული ნაჭრობითობა;

გ) უფლებამოსილია გადაახდევინოს ვისაც ჯერ არს, გზათა სახალხო კომისარიატის ეკონომიური-საგეგმო სამმართველოს დასტურით, სასყიდელი სადგურიდან გაუზიდველი ტვირთის შენახვისათვის, ოცჯერადამდე გადიდებით;

დ) რადგანაც გზის ქსელზე პლატფორმების ნაკლებობა მეტის-მეტად გამოწვევებულია, აეკრძალოს სამეურნეო ორგანოებს და გზის ბაქნების ისეთი ტვირთისათვის გამოყენება, რაც დახურული ვაგონებითაც გადაიზიდება;

ე) ვალდებულია კერძო სარგებლობის შტოზე მიყენებული ბაჭნები დატვირთოს თავისი საშუალებით, უკეთუ ბაჭნების მიყენების მომენტისათვის ტვირთგამგზავნელის მუშები აღვილობრივ არ აღმოჩნდებიან, და გადაახდევინოს ამ ტვირთგამგზავნელს სათანადო სასყიდელი;

ვ) დაამზადებს პურეული ტვირთის გადაზიდვისათვის საკმარისი რაოდენობის ფარებსა და ბრეზენტებს (იხ. მე-12 მუხ.);

ზ) განავრძობს გადაზიდვათათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებული მთავრობისეული კომისიისათვის ცნობების წარდგენას ნაკლებტვირთის შესახებ ოთხსავე რაიონში გეგმასთან შედარებით, და აღნიშნავს ამის მიზეზებსა და იმას, თუ რომელი მხარეა დამნაშვიე—კლიენტურა თუ თვით რკინის გზა; თანაც დაურთავს გზათა სახალხო კომისარიატის ეკონომიური საგეგმო სამმართველოს აზრს.

**ბ. ავტო და ჰაპანზიდვის ტრანსპორტის მიმართ.**

7. ა) სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთმა,— გადაზიდვათათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულ მთავრობისეულ კომისიასთან და გზათა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ-საგეგმო სამმართველოსთან ერთად,—უნდა შეიმუშაოს და მიაწოდოს ადგილებს, არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 20-ისა, ტიპური დებულება ავტო და ჰაპანზიდვის ტრანსპორტით გადაზიდვების შესახებ; დებულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს გადაზიდვებისა და ტვირთის პატრონის უფლება-მოვალეობანი, აგრეთვე ჯარიმები ავტო და ჰაპანზიდვის ტრანსპორტის არანაყოფიერად გამოყენებისა და მოცდენისათვის; ამ დებულების ასლი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს;

ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დააეღონ ყველა აღმასრულებელ კომიტეტს—გამოაქვეყნონ ეს დებულება სავალდებულო დადგენილების სახით ა/წ. სექტემბრის 30-თვის; დებულება გაზუსტებულ უნდა იქნეს ადვილობრივი პირობების მიხედვით და შეესებული ადვილობრივი საავტო საჰაპანზიდვო ტარიფებით.

8. ა/კსფსრ გზატყეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა—კუთვნილებისამებრ—უნდა საესებით მოავარონ იმ გზების მდგომარეობა, რაც გამოსაყენებელია შემოდგომაზამთრის გადაზიდვებისათვის და მუდმივ თვალყური ადევნონ ამ გზების წესიერ მდგომარეობას; ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს მდინარე მტკვრის იმ პუნქტების რაიონების გზებს, სადაც 1931 წელს პირველად განზრახულია ნავსადგომების დატვირთვა და გადმოტვირთვა (პირველ რიგში რაიონები: ჩუხანლი, ახტაჩი, ნაჯახ-ყულიბგელი და ყურუზმა).

9. ტრანსპორტის კლიენტურამ უნდა წარუდგინოს მათთვის მომსახურების გამწეე სატრანსპორტო ორგანიზაციებს პასუხსაგები საგეგმო განცხადებანი—



ტვირთის შორეული ადგილებიდან გამოზიდვის შესახებ—არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 15-სა და ტვირთის შეზიდვის შესახებ—არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 25-სა; გვემები დაყოფილ უნდა იქნეს თვეებზე და დეკალებზე.

**შენიშვნა.** იმ კლიენტების ტვირთი, რომელნიც საგვემო განცხადებებს არ წარადგენენ, გადაიზიდება საგვემო გადაზიდვების დამთავრების შემდეგ, გვემის გადაზიდვების წესით, უკეთეს საზიდავი საშუალებანი იქნება.

10. ა/კ. სარეწ. კოოპ. საბჭომ და სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთმა უნდა წარუდგინონ გადაზიდვათათვის ა/კსდსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულ მთავრობისეულ კომისიას, არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 15-სა, ზედმიწევნითი ცნობები ავტო და ჰაპანზიდვის ტრანსპორტის საშუალებათა შესახებ, რაც რესპუბლიკებსა და ცალკეულ ქალაქებშია.

ამასთანავე, წინადადება ეძლევა:

ა) ა/კ. სარეწ. კოოპ. საბჭოს—განახორციელოს ა/წ. სექტემბრის 15-თვის, ა/კსდსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ივნისის 28-ის დადგენილების საფუძველზე, როორგანიზაცია, რისთვისაც გამოჰყოს და მოაწყოს ამიერკავკასიის სატრანსპორტო ცენტრი;

ბ) ა/კ. სარეწ. კოოპ. საბჭოს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—დაუყოვნებლივ შეუდგენ სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთთან დადებული გენერალური ხელშეკრულების აღსრულებას.

11. ა/კსდსრ შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებთან არსებული გადაზიდვათა ადგილობრივმა თათბირებმა, კლიენტურის საგვემო განცხადებებისა და ქონებულ საზიდავი საშუალებათა შესახები ვაჟუსტებული გვემების საფუძველზე, უნდა გაანაწილონ გადაზიდვები ვადამზიდველ ორგანიზაციებს შორის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 16-ის დადგენილების შესაბამისად შემდეგნაირად:

ა) სრულიად საკავშირო ტრანსპორტის შენაერთმა—გადაზიდოს ტვირთი რკინის გზის სადგურებიდან და ნავთსაყუდებიდან (წინაუქმოდ) კლიენტურის ხელშეკრულებებისა და საგვემო განცხადებების საფუძველზე და აგრეთვე გამოზიდოს სასაქონლო მარცვლეული საბჭოთა მებურნობებიდან „ზერნოტრესტ“-თან დადებული ხელშეკრულების თანახმად (სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. იანვრის 7-ის დადგენილება);

ბ) სარეწაო კოოპერატივებმა ტრანსპორტმა—აწარმოოს ქალაქშიგნითი გადაზიდვები და მომსახურება ვაჟუწიოს სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის გენერალური ხელშეკრულების თანახმად (პირველ რიგში გადაიზიდება საშენი მასალა და სათბობი მასალა);

გ) საკოლმეურნეო სისტემის ჰაპანზიდვის ტრანსპორტმა—მომსახურება ვაჟუწიოს სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთს და აწარმოოს ყველა გადაზიდვა შორეული პუნქტებიდან, იმ გადაზიდვათა გარდა, რასაც სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთი მოიც-

გავს დაკონტრაქტებული ჰაპანზიდვით (მოცულობითი ფურაჟი და ხილეულ-ბოსტნეული შორეული ჰუნქტებიდან);

დ) იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 26-ის დადგენილების საფუძველზე აქვთ საკუთარი საზი-დავი საშუალებანი, — აწარმოონ თავიანთი ტვირთის ტრანსპორტირება დამოუ-კიდებლად.

12. ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციამ, სრულიად საკავშირო საავ-ტომობილო ტრანსპორტის შენაერთისა და „სოიუზხლვბ“-ის ამიერკავკასიის კონ-ტორებმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ რკინის გზის ლიანდაგზე მდებარე საწყობები, განაზღაღონ საწყობები მასსურ გადაზიდვათა დაწყების მომენტისათვის, მოაწყონ ამ საწყობებში სასაწყვრე ხელსაწყონი, სატვირთავი ინვენტარი და განათავისუფლონ საწყობები ხანგრძლივ შესანახი ტვირთისაგან.

13. „სოიუზპროკორმ“-ის ამიერკავკასიის კონტორამ უნდა უზრუნველჰყოს საესებით ჰაპანზიდვის ტრანსპორტის მოთხოვნილებანი მოცულობითი და მარცვ-ლეული ფურაჟისადმი შემოწმებული განცხადებებისა და განსაზღვრული ნორ-მების მიხედვით.

14. ა/კფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა ა/კ. „საბტორგ“-მა და „ავტორემონტსნაბ“-მა უნდა მოახსენონ სექტემბრის 20-ს გადაზიდვათათვის ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულ მთავრობისეულ კომისიას ცნობები ფურაჟისა, სათადარიგო ნაწილებისა, შირისა, სასალტე რკინისა და სხვათა ამისთ. ფონდების შესახებ, რაც გამოყოფილ იქნება სატრანსპორტო ორგანიზაციებისათვის შემოდგომა-ზამთრის გადაზიდვების პერიოდისათვის.

15. ავტძალოს ყველა ადგილობრივ ადმინისტრაციულ და მომწესრიგებელ ორგანოს რაიმე საავტო-საჰაპანზიდვო საშუალებათა მობილიზაცია გადაზიდვა-თათვის ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებული მთავრობისეული კომისიის დასტურის გარეშე.

## ბ. ს ა ე რ თ ო .

16. ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომი-სართა საბჭოებმა უნდა დაავაღონ ბაჟოს საბჭოს, ტფილისის საბჭოს და სხვა საქალაქო საბჭოებსა, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბ-ჭოებს — უზრუნველჰყონ გაძლიერებულ გადაზიდვათა პერიოდში ამიერკავკასიის რკინის გზების მიერ შემოკრებილი მტვირთავნი საცხოვრებელი სადგომებით, ხოლო ავტო და ჰაპანზიდვის ტრანსპორტზე მომუშავე შოფერნი და მესაზიდა-ვენი ბაკებით.

17. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც იღებს და ჰგზავნის ტვირთს და ავ-რეთვე ამ ტვირთის მტრანსპორტირებელმა ყველა ორგანიზაციამ (ა/კ. რკ. გზ. და სრულ. საკავშ. საავტ. ტრანსპ. შენ.) უნდა მისცეს ა/წ. ოქტომბრის 5-თვის ადგილებს ცირკულიარული დირექტივები იმ კონკრეტულ ღონისძიებათა შესა-ხებ, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს შემოდგომა-ზამთრის გადაზიდვების კამპანიის დაუცადებელი ჩატარებისათვის. ამ მიზნით პირველ რიგში დაჩატარ-



ბულ უნდა იქნეს: შეშისა, საშენი მასალისა და სხვა ტვირთის დატვირთვა, რის გადაზიდვაც შეიძლება შემოდგომა-ზამთრის გადაზიდვათა კამპანიის დაწყებაამდე.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება და მათი აღსრულებისათვის შეთვალყურების გაწევა დაეკისროს სპეციალურად გამოყოფილ თანამშრომელთა რომელთა გვარებიც უნდა ეცნობოს გადაზიდვათათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულ მთავრობისეულ კომისიას ა/წ. სექტემბრის 25-თვის.

18. ყველა სატრანსპორტო ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს ფართო კამპანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და შინაგანი რეესტრების მობილიზაციისათვის (დანაკლისებთან, ცარიელი და შემხვედრი საზიდვების მოძრაობასთან, მუშაობის შეუთანხმებლობასთან ბრძოლა და სხვა მისთან.). ამ მიზნით მოწყობილ უნდა იქნეს—საზოგადოებრივ, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად—მფრინავი ბრიგადები სარკინისგზო სადგურებისა, სახანძარო პუნქტებისა, საწყობებისა, გარაჟებისა და საცხენე პარკების მუშაობის შესამოწმებლად.

19. ამიერკავკასიის რკინის გზების ღირებულებამ, სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთმა და გზათა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ-საგეგმო სამმართველომ ყოველ დეკადაზე უნდა მოახსენონ გადაზიდვათათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულ მთავრობისეულ კომისიას, ხოლო ამ კომისიამ თვეში ერთხელ—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადაზიდვათა შესრულების შესახებ.

20. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალ. აღმ. თ. მელნიკოვი.

1931 წ. სექტემბრის 1.

№ 393

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 261 №-ში 1931 წ. სექტემბრის 22-ს.



## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 205. განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგანიზაცი- ათა მიერ წლიური ბალანსების გამოქვეყნების წესის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილე-  
ბის მე-5 მუხლის თანახმად („იზეესტია“-ს 220 №-ი 1931 წ. აგვისტოს 11-სა)  
ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. განსაზოგადოებული სექტორის ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოები და ორგანიზაციები, შენაერთები, ტრესტები, სავაჭრო დაწესებულებები, სააქციო საზოგადოებები და კოოპერატივების კავშირები მო-  
ვალენი არიან გამოაქვეყნონ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში თავიანთი წლი-  
ური ბალანსები ერთი თვის განმავლობაში მათი დამტკიცების დღიდან.

**შენიშვნა 1.** შენაერთებისა და სამეურნეო ორგანოების ბალანსების სავალდებულო გამოქვეყნებისაგან განთავისუფლებას აწარმოებს სათანადო უწყება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შედგენი-  
ლობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით — კუთვნილებისამებრ.

**შენიშვნა 2.** პირველადი კოოპერატივების ბალანსების გამოქვეყნების საკითხი გადაწყდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

2. ფედერატიული მნიშვნელობის სამეურნეო ორგანოების ბალანსები სსრკ-ის სახელმწიფო საეკგმო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით გამოქვეყნდება გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში, ხოლო რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამეურნეო ორ-  
განოების ბალანსები — სათანადო რესპუბლიკანურ ცენტრალურ ორგანოში.

**შენიშვნა.** ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და რესპუბლი-  
კების ფინანსთა სახალხო კომისარიატები განსაზღვრავენ ბალანსების გამო-  
ქვეყნების სპეციალურ ტარიფებს ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში  
შემავალი რესპუბლიკების მეშათა და გლუბთა ინსპექციის სახალხო კომი-  
სარიატებთან შეთანხმებით — კუთვნილებისამებრ.

3. პასუხისმგებლობა განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგა-  
ნიზაციათა ბალანსების თავის დროზე დამტკიცებისათვის კანონით დადგენილ  
ვადაზე და თავის დროზე გამოქვეყნებისათვის (ამა დადგენილების 1-ლი მუხლი)  
დაეკისრება: ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამეურნეო ორ-  
განიზაციების მიმართ — სათანადო სახალხო კომისარიატებს და კოოპერატიულ  
ცენტრებს.

კონტროლის გაწევა ამა მუხლის შესრულებისათვის დაეკისრება ა/კსფსრ  
ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების ფინანს-  
თა სახალხო კომისარიატებს — კუთვნილებისამებრ.

უფლება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ  
ფინანსთა სახალხო კომისარიატებს — კუთვნილებისამებრ — ბალანსების თავის დრო-

ზე დაუმტკიცებლობის ან თავის დროზე გამოუქვეყნებლობისათვის შეუფარდონ უწყებებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს საფინანსო ზედმოქმედების ღონისძიებანი—თვით საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის გახსნილი ყველა კრედიტის დახურვაც-კი.

4. ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანოების ბალანსების გამოქვეყნების და თავის დროზე დამტკიცებისა და გამოქვეყნებისათვის მეთვალყურეობის გაწევის წესი განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე მ. ორაზელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალ. აღმ. თ. მელნიკოვი.

1931 წ. სექტემბრის 6.

№ 397.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 252 №-ში 1931 წ. სექტემბრის 13-ს.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსში.

**206.** ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ამიერკავკასიის გამომგონებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „გამომგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა დებულების“ მე-13 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 181) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის გამომგონებლობის კომიტეტი.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის გამომგონებლობის კომიტეტს შეიმუშაოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული გამომგონებლობის კომიტეტის დებულების საფუძველზე, ამიერკავკასიის გამომგონებლობის კომიტეტის დებულების პროექტი და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს; პროექტში, კერძოდ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღნიშნული კომიტეტის უფლება გამოიტანოს ხოლმე:

ა) საბოლოო დადგენილებანი იმ გამომგონებელთათვის, ვისაც წინანდელი კანონის თანახმად გამოგონებაზე პატენტი მიუღია, ყველა ან ზოგიერთი იმ შეღავათის მინიჭების შესახებ, რაც გათვალისწინებულია ახალი დებულებით გამომგონებათა შესახებ, უკეთუ მათ გამოგონებას იყენებენ ა/კსფსრ სახელმწიფო ორგანოები და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციები;

ბ) საბოლოო გადაწყვეტილებანი ზედამხედველობის წესით იმ საჩივრებზე, რასაც შეიტანენ ცალკეული ორგანოები და პირები გამომგონებლობისათვის ხელის შემწყობი ამიერკავკასიის ორგანოებისა და გამომგონებლობის რესპუბლიკანური კომიტეტების მოქმედებაზე და დადგენილებებზე.

3. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ:

ა) მოაწყონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და ეკონომიურ თათბირებთან გამომგონებლობის კომიტეტები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის გამომგონებლობის კომიტეტის დებულების საფუძველზე და დაამტკიცონ ამ კომიტეტების დებულებანი;

ბ) დაამყარონ გამომგონებლობის ხელისშემწყობი ორგანოების ტიპური დებულების შემუშავებისა და დამტკიცების წესი ამ რესპუბლიკების არაავერთიანებული კომისარიატების საზოგადოებაში;

გ) შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა „გამომგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა დებულებას“ და ამა დადგენილებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართვე, მოვ. აღმ. თ. მელნიკოვი.

1931 წ. სექტემბრის 6.

№ 401.

ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსნი.

**207.** საკონტრაქტაციო ვალდებულებების დამრღვევ და არაშემსრულებელ ბაზმის მთესველთათვის გადასახდელთა შეფარდებისა და საკონტრაქტაციო ვალდებულებების ვადამდე შემსრულებელ და ვადამეტებით შემსრულებელ ბაზმის მთესველთა დაპრემირების შესახებ.

1. კოლექტიური მეურნეობებისა, დასახლებულთათა ამხანაგობებისა და ბაზმის ინდივიდუალური მთესველების მიერ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით ბაზმის თესვისა და ჩაბარებისათვის ნაკისრები ვალდებულების დარღვევის შემთხვევათა აღმოფხვრის მიზნით — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: 1931 წელს ბაზმის მოკრეფის კამპანიის პერიოდში შეფარდებულ იქნეს გადასახდელთა შემდეგი ღონისძიებანი.



1. კოლექტიური მეურნეობისა და დასახლებულობის ამხანაგობის გამოგება, აგრეთვე ის ინდივიდუალური ბაზის მთესველი, რომელიც სრულიად არ შეასრულებს თავის საკონტრაქტაციო ვალდებულებას ბაზის დათვისისა და ჩაბარებისათვის ან შეასრულებს დაკონტრაქტებული ფართობისა და ჩასაბარებელი ნეღლი ბაზის 50%-ზე ნაკლებს მისგანვე დაპოკიდებული მიზეზების გამო, მიიღება პასუხისმგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც ვალდებულების ბოროტეულად შეუსრულებლობისათვის, ა/კსფსრ შედგენილობაში შემაგალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლების თანახმად და, ამის გარდა, დაჰკარგავს უფლებას მიიღოს შეპირებული რაოდენობის პური და სამრეწველო საქონელი.

2. დანარჩენ მთესველთ, რომელნიც შეასრულებენ საკონტრაქტაციო ვალდებულებას როგორც დათვისისა, ისე ნეღლი ბაზის ჩაბარებისათვის 50%-ით და მეტსაც (ხოლო 100%-ზე ნაკლებს), შესყიდვის კამპანიის დამთავრებისას, დაეკისრებათ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა; ამასთანავე, მხედველობაში მიიღება როგორც მათ მიერ ჩაბარებული ნეღლი ბაზის რაოდენობა, ისე მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემაგალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) უკეთეს კოლექტიური მეურნეობებისა და სოფლის ინდივიდუალური მთესველების მიერ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები დარღვეულ იქნება მასსურად, პასუხისმგებაში აძლიონ, მთესველთა გარდა, აგრეთვე იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელნიც საბამებ კამპანიას უშუალოდ ანხორციელებენ;

ბ) დაავალონ პროკურატურის ორგანოებს ადგილებზე საკონტრაქტაციო ვალდებულების დამრღვევი და არაშემსრულებელი მთესველების საქმეები განიხილონ 5 დღის ვადაზე მიღების დღიდან და განსაკუთრებით ბოროტეულ შემთხვევაში მოაწიონ საჩვენებელი პროცესები.

4. იმ კოლექტიურ მეურნეობათ და ინდივიდუალურ ბაზის მთესველთ, რომელთა ნათესებიც სტიქიური მოვლენისაგან დაზარალდება მთლად ან ნაწილობრივ, ამა დადგენილებაში ჩამოთვლილი გადასახდელთა ღონისძიებანი არ შეეფარდებათ, უკეთეს ნათესის განადგურება გაუორმებულია თავის დროზე აქტებით საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაში განსაზღვრული წესისამებრ.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთს გამოარკვიოს ერთი დეკადის ვადაზე ის კოლექტიური მეურნეობანი და ინდივიდუალური მთესველები, რომელთა ნათესიც დაზარალდა სტიქიური მოვლენისაგან, ოთხ კატეგორიაზე დაყოფით:

ა) ის მთესველები, რომელთა ნათესიც განადგურდა სტიქიური მოვლენისაგან, ხოლო რომელთაც ამის ნაცვლად დათესეს სხვა კულტურები;

ბ) ის მთესველები, რომელთა ნათესიც დაზარალდა არა უმეტეს, ვიდრე 25%-ით;

გ) 25-დან 50%-დე;

დ) 50%-ზე მეტად მთლად დათესილ ფართობზე, ხოლო ისე-კი, რომ განთავისუფლებული ფართობი დატოვებულია სასვენად.

6. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებაზმეობის შენაერთს შეუფარდოს წინამდგომარე ბაზმის მოკრეფის კამპანიის დროს იმ მთესველთ, რომელთა ნათესიცი განადგურდა სტიქიური მოვლენისაგან, პურით მომარაგების შემდეგი ნორმები:

ა) ის მთესველნი, რომელთა ნათესიცი დაზარალდა სტიქიური მოვლენისაგან არ უმეტეს 25%-ისა, ხოლო რომელთაც ჩააბარეს არა ნაკლებ დაკონტრაქტებული ნედლი ბაზმის რაოდენობის 70%-ისა, მომარაგდებიან პურით მოსავლიანობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული რაოდენობით;

ბ) ის მთესველნი, რომელთა ნათესიცი დაზარალდა სტიქიური მოვლენისაგან, ხოლო რომელთაც ამის ნაცვლად სხვა კულტურები დათესეს, სრულიად მოიხსნებიან პურით მომარაგებისაგან გარდათესილი ფართობის ნაწილის ვარაუდით;

გ) ის მთესველნი, რომელთა ნათესიცი დაზარალდა სტიქიური მოვლენისაგან 25-დან 50%-დე, ხოლო რომელთაც შესძლეს არა ნაკლებ ვიდრე დაკონტრაქტებული ნედლი ბაზმის რაოდენობის 50%-ის ჩაბარება, მომარაგდებიან პურით ფაქტიურად ჩაბარებული ნედლი ბაზმის რაოდენობის შესაბამისად; ამასთანავე, გაცემული პურის რაოდენობა არ უნდა იყოს მოსავლიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო რაოდენობის 70%-ზე ნაკლები;

დ) ის მთესველნი, რომელთა ნათესიცი განადგურდა სტიქიური მოვლენისაგან 50%-ზე მეტად, აგრეთვე ის მთესველნი, რომელთა ნათესიცი მთლად განადგურდა და განთავისუფლებული ფართობი მიქცეულია სასვენად, ბაზმის მოკრეფის კამპანიის დასასრულში მომარაგებულ იქნებიან პურით საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მათი ზვედრი ნორმის 50%-ით.

7. სტიქიური მოვლენისაგან ნათესის განადგურება არ ანთავისუფლებს მთესველთ ავანსების დაბრუნებისაგან; ამასთანავე, ავანსი, რაც სტიქიური მოვლენისაგან განადგურებულ ფართობს შეესაბამება, გადაირიცხება მეორე წლისთვის.

II. იმ მთესველთა წასახალისებლად, რომელთაც ვადამდე და ზედმეტად შეასრულეს თავიანთი საკონტრაქტაციო ვალდებულებანი ბაზმის მოკრეფისა და ჩაბარებისა და მიმდინარე წელს მიღებული ავანსების დაფარვისათვის, წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებაზმეობის შენაერთს დააპრემიროს მთესველნი შემდეგი წესით:

1. ის კოლექტიური მეურნეობა და ღარიბი და საშუალო მეურნეობა, რომელმაც თავის დროზე და ზედმიწევნით შეასრულა თავისი საკონტრაქტაციო ვალდებულება ბაზმის დათვისისა და ჩაბარებისა და მიმდინარე წელს მიღებული ავანსების დაფარვისათვის, დაპრემირებულ უნდა იქნეს ბაზმის მოკრეფის კამპანიის დამთავრებისას, ნორმის გარდა, აგრეთვე 8 კილოგრამში პურის მიცემით მარცვლად თვითეულ ჩაბარებულ ცენტნერ ნედლ ბაზმაზე.

2. ის კოლექტიური მეურნეობა და ღარიბი და საშუალო მეურნეობა, რომელმაც ვადამეტებით შეასრულა თავისი საკონტრაქტაციო ხელშეკრულება ბაზმის დათვისის და ჩაბარებისათვის, წინა მუხლით განსაზღვრული პრემიის გარდა, ბაზმის მოკრეფის კამპანიის დამთავრების შემდეგ, დამატებით დაპრემირე-



ბულ უნდა იქნეს 20 კილოგრამი პურის მიცემით მარცვლად თვითოეულ ცენტნერ ბამბაზე, რასაც იგი ჩააბარებს შეპირებული რაოდენობის ზედმეტად.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთს:

ა) დაპრემირება აწარმოოს იმ ფონდიდან, რაც შეიქმნება ნედლი ბამბის ჩაბარების საკონტრაქტაციო ვალდებულებათა არაშემსრულებელ მთესველთათვის მიუტემელ პურისაგან;

ბ) იქონიოს პრემიათა განსაკუთრებული აღნუსხვა და როგორც საკონტრაქტაციო ვალდებულებათა არაშემსრულებელ მთესველთა, ისე შემსრულებელ და გადამეტებით შემსრულებელ მთესველთა სია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მართველის მოვ. აღმ. თ. მელნიკოვი.

1931 წ. სექტემბრის 11.

№ 399

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 260 №-ში 1931 წ. სექტემბრის 21-ს.

### დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

#### 208. შინამრეწველობისა და შინა-სარეწაო კოოპერაციის შესახებ.

„შინამრეწველობისა და შინა-სარეწაო კოოპერაციის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 28-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 41 №-ი, მუხ. 284) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის საბოლოო საწარმოო პროგრამა 1931 წლისათვის 210.813.000 მან. რაოდენობით, გამოსაშვები პროდუქციის დამატებითი პროგრამის სათვალავში მიღებით, და ეს საბოლოო საწარმოო პროგრამა განაწილებულ იქნეს რესპუბლიკებზე შემდეგნაირად:

აზერბაიჯანის სსრ.	88.542.000 მან.
სომხეთის სსრ	27.270.000 „
საქართველოს სსრ.	95.001.000 „

აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სარეწაო კოოპერაციამ აშკარად არადამაკმაყოფილებლად შეასრულა 1931 წლის 1-ლი ნახევარი წლის გეგმა (ა/კსფსრ-ში — 72,5%; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში 61,8%, სომხეთის სსრ-ში—65,7% და საქართველოს სსრ-ში—83,3%-ი).



კერძოდ, აღინიშნოს საშენი მასალის წარმოების გეგმის უაღრესადღე შეუსრულებლობა (მთლად ა/კსფსრ-ში—39,5%). წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს და რესპუბლიკანურ სარეწაო კოოპერაციის კავშირებს იხმარონ ყოველი-ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს დამტკიცებული პროგრამის საეესებით შესრულებას.

2. თანაც აღინიშნოს, რომ თუმცა ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ხვედრითი წონა მეტის-მეტად თვალსაჩინოა საერთოდ სახალხო მეურნეობაში, მაინც მის განვითარებას და საქმიანობას მთელი რიგი დამახასიათებელი არანორმალურობა ეტყობა. კერძოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სარეწაო კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა სათანადოდ შეფასებულ არ არის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ, რომელნიც თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ხშირად არღვევენ კავშირის ცენტრალური ორგანოების დირექტივებს; ეს დარღვევა გამოიხატება იმით, რომ აღნიშნული ორგანოები არ აწვდიან სარეწაო კოოპერაციას სრულად სამრეწველო და სასურსათო საქონელს, სათბობ მასალას და ფურაცს, ართმევენ მის კუთვნილ, ექსპლოატაციაში მყოფ სარარმოთ, უარს ეუბნებიან იმ ტყესაკაუფავების და ნაკვეთების მიჩენაზე, რის ექსპლოატაციასაც სახელმწიფო მრეწველობა არ აწარმოებს და სხვა მისთ.; ყველა ეს, როგორც შედეგი, გავლენას ახდენს როგორც სარეწაო კოოპერაციის საწარმოო პროგრამის შესრულებაზე, ისე მის შემდგომ განვითარებაზე.

3. ვინაიდან აუცილებლად საჭიროა ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის საქმიანობის შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით ადგილობრივ უღეფიციტო ნედლეულის საფუძველზე და საშენი მასალის წარმოებაზე, წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს და სარეწაო კოოპერაციის კავშირებს—გამოსძებნონ დასამუშავებლად ადგილობრივი უღეფიციტო ნედლეულის დამატებითი წყაროები, როგორიც არის: ტორფი, ქვანახშირი, გოგირდის მადანი და სხვ. მისთ., აგრეთვე იხმარონ რეალური ღონისძიება, რათა სარეწაო კოოპერაციას გადაეცეს უმოქმედო და ნაკლებრენტაბელური სამრეწველო საწარმონი.

მიენდოს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს განახორციელოს ეს მუშაობა ერთი თვის ვადაზე და შედეგი მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. რადგანაც ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის საწარმოო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად მიმართულ ღონისძიებათა სისტემაში დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს სამრეწველო და სასურსათო საქონლით, პურ-ფურაჟით მომარაგებას, განსაკუთრებით უღეფიციტო (საშენი მასალა, ხეტყის დამზადება და ხის დამუშავება) და ექსპორტზე მომუშავე სარეწაოებისა, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—იხმარონ გადასწვევითი ღონისძიებანი სარეწაო კოოპერაციის მომარაგების მაქსიმალურად უზრუნველყოფისთვის და გამოჰყონ აღნიშნული სარეწაოებისათვის სათანაო ფონდები.

კერძოდ, ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა, სარეწაო კოოპერაციისათვის გამოყოფილი ფონდების განაწილების დროს, მტკიცედ უნდა

იხელმძღვანელოს თავთ სარეწაო კოოპერაციის მიზნობრივი დანაწილება და არ უნდა შესცვალოს თავისი სურვილისამებრ ეს დანაწილება რესპუბლიკებზე და სარეწაოებზე საწარმოო გეგმების საზიანოდ.

ა/კფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა მის მიერ მიღებული ღონისძიებანი უნდა მოახსენოს ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი დეკადის ვადაზე.

5. რათა ა/კფსრ შინამრეწველობის განვითარება წესიერად მიმდინარეობდეს და სარეწაო კოოპერაციის მუშაობა მჭიდროდ იყოს გადაბმული სახელმწიფო მრეწველობაზე, ურთიერთთა სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული წლიური და საპერსპექტივო გეგმების შეთანხმება როგორც სარეწაო კოოპერაციისა, ისე სახელმწიფო მრეწველობის მხრით.

წინადადება მიეცეს ა/კფსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემას, ა/კფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სათანადო შენაერთებსა და უწყებებს შემდგომში მტკიცედ იხელმძღვანელონ აღნიშნული დებულება.

6. სარეწაო კოოპერაციის მომუშავეებით გაძლიერებისა და მისი ხელმძღვანელი და სპეციალური კადრების დენადობის (ცვალებადობის) ლიკვიდაციისათვის, განსაკუთრებით აღნუსხვისა და ანგარიშგების დარგში—წინადადება მიეცეს ა/კფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, მისცეს ღირებულება თავის სისტემას—შემდგომში სარეწაო კოოპერაციის მომუშავეთა სხვა ორგანოებში ვადაყვანის სრულიად მოსპობის შესახებ.

ამისთან ერთად დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს გაუფიონ ა/კფსრ სარეწაო კოოპერაციას ყოველგვარი დახმარება მოანგარიშე-მომუშავეებით განმტკიცების საქმეში.

7. წინადადება მიეცეს ა/კფსრ-ისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებსა და შრომის სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ „შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის შესახებ“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ივნისის 28-ის დადგენილების შესაბამისად, სარეწაო კოოპერაცია საინჟინერო-სატექნიკო ძალებით და გამოჰყონ მისთვის განსაზღვრული ნაწილი იმ პირებისა, რომელნიც ამთავრებენ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებსა და ეკონომიურ უმაღლეს სასწავლებლებს.

ამავე დროს წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს—გაითვალისწინოს 1932 წ. საკონტროლო ციფრებში ღონისძიებათა სისტემა, რაც უზრუნველჰყოფს 1932 წელს ა/კფსრ სარეწაო კოოპერაციისათვის კადრების მომზადებისა და გარდამზადების ფართო პროგრამის ჩატარებას.

8. აკფსრ სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციულად განმტკიცებისა და მშენებლობის შემდგომი გაშლისა და ამ სისტემის ყველა რგოლულში სამეურნეო ანგარიშის შთანერგვის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რათა თავიდან აცილებულ იქნეს:

ა) გადაჭარბებული ცენტრალიზაცია, რაც ჰზღუდავს კოოპერატიული მასების საწარმოო ინიციატივას და დამოუკიდებლობას;

ბ) სუსტი მუშაობა ადგილობრივი უდღეფიციტო ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავებისათვის;

გ) სუსტივე მუშაობა პროდუქციის თვისების გაუმჯობესებისა, თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის;

დ) სარეწაო კოოპერაციის სისტემის ცალკეული რგოლულების აღრევა სოციალურად უცხო ელემენტებით, რაც ჯერ კიდევ ემჩნევა მას,—

საჭიროდ იქნეს ცნობილი ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაცია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1931 წ. ივნისის 28-ის, დადგენილების საფუძველზე.

9. ზემოაღნიშნულ გარემოებათა მიხედვით განხორციელებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი;

ა) ვინაიდან საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნეს რესპუბლიკანური კავშირების ცალკეული სარეწაოების ეკონომიური ბაზისი და სისტემის ყველა რგოლუელში მტკიცე სამეურნეო ანგარიშის შთანერგვის აუცილებლობა,—წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს და რესპუბლიკანურ კავშირებს მოაწონ ერთი თვის ვადაზე, ა/კსფსრ მხედვენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დამტკიცების შემდეგ, სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებში სადარგო სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთები (სინდიკატის ტიპისა) დამოუკიდებელი ბალანსით, რესპუბლიკანური კავშირების წევრობისა და კაპიტალების ერთიანობის საფუძველზე და არჩეული გამგეობათ, შემდეგი წარმოებებისათვის:

#### აზერბაიჯანის სსრ-ში:

1. საფეიქრო-სატრიკოტაჟო (საფეიქრო, სახალიჩე, სატრიკოტაჟო, ქრაკერვა);
2. საშენი მასალისა (საშენი მასალა, მინერალების მოპოვება და დამუშავება);
3. ლითონის დამუშავება (ლითონის დამუშავება, ქარაევანთმშენებლობა და რემონტი);
4. სატყავეულო (მოუქმელი ტყავეულობა, ფეხსაცმლის რემონტი, საბეწვეულო);
5. სატრანსპორტო (ავტო-ტრანსპორტი და ქაპანზიდვის ტრანსპორტი);
6. საქამადო-სავემოო;
7. ნავთის ამოღება;
8. სავადასხვა სარეწაოების სექტორი (ხის დამუშავება, სატყეო-საქიმიო, საქიმიო, უტილი, პოლიგრაფიული და სხვ.);

#### სომხეთის სსრ-ში:

1. საფეიქრო-სატრიკოტაჟო (საფეიქრო, ქრაკერვა, სატრიკოტაჟო, სახალიჩე);
2. საშენი მასალისა (საშენი მასალა, მინერალების მოპოვება და დამუშავება);



3. სატრანსპორტო (ავტო-ტრანსპორტი და ჰაპანზიდვის ტრანსპორტი);  
 4. სხვადასხვა სარეწაოების სექტორი (სატყეო-საქიმიო, ხეტყის დამზადება, ხის დამუშავება, უტილი, ლითონის დამუშავება, საჰამადო-საგემოო, საქიმიო და სხვ.);

### საქართველოს სსრ-ში:

1. სატყეო (ხეტყის დამზადება, ხის დამუშავება);  
 2. საფეიქრო-სატრიკოტაჟო (საფეიქრო, სატრიკოტაჟო, კრა-კერვა, სახალიჩე);  
 3. სატყავეულო (მოუქნელი ტყავეულობის დამუშავება, საფეხსაცმლო, სასარაჯო-საუნაგირო, საბეწვეულო, ფეხსაცმელის რემონტი);  
 4. საშენი მასალა (საშენი მასალა, მინერალების მოპოვება და დამუშავება);  
 5. საჰამადო-საგემოო (პურის ცხობა, საკონფეტო და სხვ.);  
 6. სატრანსპორტო (ავტო-ტრანსპორტი და ჰაპანზიდვის ტრანსპორტი);  
 7. საქიმიო (საქიმიო და სატყეო-საქიმიო);  
 8. სხვადასხვა სარეწაოების სექტორი (ლითონის დამუშავება, ქარავანთმშენებლობა, რემონტი, ქაღალდის შვერვება და დამუშავება, უტილი და სხვ.);

ბ) წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებს—ჩაატარონ სამომზადებლო მუშაობა ტყის დამუშავების სამეურნეო ბაზისის განმტკიცებისათვის, ისეთი ვარაუდით, რომ 1932 წლისთვის გამოყოფილ იქნენ სადარგო შენაერთები, ხოლო საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის კავშირმა ამავე ვადაზე უნდა გამოიყოს ლითონის დამუშავებელი შენაერთები.

გ) რადგანაც მეორე რგოლეულის კავშირების (სარაიონთაშორისო კავშირების) არსებობა მიზანშეუწონელია, სპეციალური არტელების საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო მოქმედებისათვის უშუალო მომსახურების გაწევა დაეკისროს სადარგო შენაერთებს; ხოლო მომსახურების გაწევა იმ არტელებისათვის, რომელნიც სპეციალურ შენაერთებში არ შევლენ, ახალი სადარგო შენაერთების მოწყობამდე, დაეტოვოს რესპუბლიკანურ კავშირებს და მათთვის მომსახურების გასაწევად მოწყობილ იქნეს სხვადასხვა სარეწაოების სექტორი;

დ) ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში (აჭარისტანში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში, ნახიჯვანის მხარეში და მთის ყარაბაღში) დატოვებულ იქნეს მრავალ-სარეწაოებიანი რესპუბლიკანური და საოლქო კავშირები, რომელთაც მომსახურებას გაუწევენ სათანადო რეწაობის რესპუბლიკანური სადარგო შენაერთები.

10. წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს—შეიმუშაოს და დამტკიცოს სადარგო შენაერთების წესდებანი.

11. რათა სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია მომხმარებლებზე ახლო იყოს და საქონლის თვისება გაუმჯობესებულ იქნეს, მომხმარებლის მიერ უშუალო კონტროლის გაწევიით, წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს—მოაწყოს, სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებთან ერთად, 1931 წ. ნოემბრის 1-თვის ა/კსდსრ სარეწაო კოოპერაციის მთელ სისტემაში არა ნაკლებ

30 ცალობითი მაღაზიისა (საქართველოში—13, აზერბაიჯანში—13 და სომხეთში—4) სარეწაო კოოპერაციის ნაკეთობათა ვაჭრობისათვის.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს მოაქციოს თავის სისტემაში სარეწაო კოოპერაციის ცალობითი ვაჭრობის რეგულირება.

12. დევვალოს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს და სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს გადაიტანონ თავიანთი მუშაობა უმთავრესად კოლექტიურ მეურნეობებში, განსაკუთრებით მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, და მიიღონ ანგარიშში, რომ აღნიშნულ რაიონებში სარეწაო არტელები დამოუკიდებელი ორგანიზაციები არიან, არ ერთვიან კოლექტიურ მეურნეობებს და შედიან სარეწაო კოოპერაციის სისტემაში საერთო საფუძველზე.

სარეწაო კოოპერაციასა და საკოლმეურნეო სისტემას შორის არსებულ ურთიერთობის გაზუსტებისათვის წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—გამოსცენ სათანადო ინსტრუქცია.

13. ყველა სამეურნეო ურთიერთობა სარეწაო არტელებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე. სარეწაოებში სამუშაოდ საჭირო მუშა-ძალა მიმაგრებულ უნდა იქნეს აგრეთვე სათანადო ხელშეკრულებებით.

14. მოსპობილ იქნეს ყოველგვარი სპეციალური ანარქიები, რასაც არტელის წევრები კოლექტიური მეურნეობების სასარგებლოდ იხდიან. ამავე დროს კოლექტიური მეურნეობების წევრებსა და მათ ოჯახებზე გავრცელებულ იქნეს სავესებით „გარე სამუშაოზე გასვლის შესახებ“ გამოსცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1931 წ. ივნისის 30-ის დადგენილებით განსაზღვრული შედეგათები.

15 წინადადება მიეცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს მოაწყოს სარეწაო კოლექტიური მეურნეობების აგროტექნიკური მომსახურება და მოამარაგოს ეს მეურნეობები თესლით და გაწყობილობით ხელშეკრულებების საფუძველზე.

16. ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემის როგორგანიზაციასთან შესაბამისად—რესპუბლიკანური სარეწაო კოოპერატივების კავშირებისა და ცალკეული შენაერთების ხელმძღვანელობა, სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოო საგამსაღებლო სამომარაგებლო მუშუაობისა და კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვა, საფინანსო პოლიტიკისა და საორგანიზაციო და კულტმასსური მშენებლობის ყველა საკითხის ჩატარება დაეკისროს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს.

ამისთან დაკავშირებით წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, გააზუსტოს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის დებულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის  
საბჭოს საკმეთა მმართველის მოვალ. აღმ. თ. მელნიკოვი.

1931 წ. სექტემბრის 11.

№ 400

ტფილისი

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 267 №-ში 1931 წ. სექტემბრის 28-ს.

**შეცდომის გასწორება.**

ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-16 №-ში გამოქვეყნებულ „ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულებაში“ (მუხ. 191) შეცდომით არის დაბეჭდილი:

**21 მუხლის მეორე ნაწილი.** (445გვ.) „ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში შეტანილ საკმეებს მოახსენებს თავმჯდომარე ან, მისი უფლებამოსილებით, მისი მოადგილე, ან და მისი ერთ ერთი თანაშემწე“.

**უნდა იყოს:** „ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში ა/კსფსრ პროკურორის მიერ შეტანილ საკითხებს მოახსენებს ა/კსფსრ პროკურორი ან, მისი უფლებამოსილებით, მისი მოადგილე, ან და მისი ერთ-ერთი თანაშემწე“.

